საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 08 ოქტომბერი, 2021 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/03

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მარეგულირებელ წესში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე და 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მარეგულირებელ წესში და წესის:

ა) 2^1 მუხლის მე-20 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„20. საგანმანათლებლო პროგრამის შეცლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტს საშუალება აქვს სწავლა განაგრძოს შეცვლილ/მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, აირჩიოს მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამა, ან ისარგებლოს მობილობის უფლებით სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.“

ბ) 2^1 მუხლის მე-20 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 20^1 პუნქტი:

„20^1. იმ შემთხვევაში თუ კრედიტების თავსებადობის განსაზღვრის შედეგად სტუდენტს დააკლდება შესაბამისი აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, იგი უფლებამოსილია აინაზღაუროს დანაკლისი მოდიფიცირებული პროგრამის სასწავლო კურსებით წელიწადში 75 კრედიტის ფარგლებში მოდიფიცირებული პროგრამის დამატებით გასავლელი სასწავლო კურსების საფასურის გადახდის გარეშე.“

გ) მე-4 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. მობილობის მსურველი პირების ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამებთან თავსებადობის დადგენის მიზნით თეორიული მიმართულების პროგრამებზე (საჭიროების შემთხვევაში) ტარდება გამოცდა, ხოლო საშემსრულებლო პროგრამებზე შემოქმედებითი ტური სპეციალობაში. გამოცდის/შემოქმედებითი ტურების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - 51 ქულა (0-50 ქულა „ჩაიჭრა“).“

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჭიჭილეიშვილი**